



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030120619022419

№ 01-205/ლ

13 / ივნისი / 2019 წ.

**„ონკოლოგიის“ დარგში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 10 დეკემბრის №01-327/ლ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**მუხლი 1.** „ონკოლოგიის“ დარგში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 10 დეკემბრის №01-327/ლ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

**1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:“.

**2. პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მ) შარდის ბუშტის არაინვაზიური კიბოს (Ta, T1, Tis) მართვა - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N12).“.

**მუხლი 2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამბადასმულია  
ელექტრონულად

დავით სერგვენკო